



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება

(2018 წლის 29 ივლისი - 2019 წლის 31 ივლისი)

კვლევის ხელმძღვანელი

ლიკა საჯაია

კვლევის ავტორი

თამარ ტატანაშვილი



Sweden/შვედეთი

Sverige

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida)
ფინანსური მხარდაჭერით

საჩივრი

შესავალი	4
ძირითადი მიგნებები	4
თავი 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა	5
თავი 2. საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობა	8
2.1 გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება (კონცეფციის, სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის შემუშავება)	8
2.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და ადვოკატირება	9
2.2.1 საბჭოს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე	9
2.2.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება	12
2.2.3 სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება	14
2.3 ზედამხედველობის განხორციელება	15
2.3.1 ანგარიშების მოსმენა	15
2.3.2 თემატური მოკვლევის ჯგუფების საქმიანობა	16
2.4 ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა	19
თავი 3. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება	21
თავი 4. შეფასება და რეკომენდაციები	22

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა მოიცავს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდეგში - საბჭო) საქმიანობას 2018 წლის 29 ივლისიდან - 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში (შემდეგში: საანგარიშო პერიოდი).

გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროცესის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილი და შეფასებულია საბჭოს აქტივობა შემდეგი მიმართულებები:

- სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის ხელშეწყობა
- კანონმდებლობის გენდერული ანალიზი
- ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობა და მონიტორინგი
- განუული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება და გამჭვირვალობა.

კვლევა ეფუძნება პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, ასევე პარლამენტის ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ნორმატიული კვლევის მეთოდი, რომლის შესაბამისადაც შესწავლილია ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. ასევე, კვლევაში წარმოდგენილია გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეფასებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით.¹

ძირითადი მიგნებები

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისას შემდეგი **პოზიტიური ტენდენციები** გამოიკვეთა:

- საბჭოს აქტიური ჩართულობითა და საბჭოს წევრთა ინიციატივით სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა
- საბჭომ გააძლიერა კონტროლის ფუნქცია. შეიქმნა და საქმიანობა განახორციელა თემატური მოკვლევის ორმა ჯგუფმა, რომლებმაც პრობლემების გაანალიზებასთან ერთად, შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავეს.

კვლევის პროცესში **გამოიკვეთა შემდეგი სახის გამოწვევები:**

- კვლავ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება

¹ ინტერვიუ ჩატარდა ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ასევე, სახალხო დამცველის ოფისთან. ასევე გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებს ელექტრონულად გაეგზავნათ კითხვარი.

- 15-ის ნაცვლად, მხოლოდ ხუთმა კომიტეტმა იმუშავა კანონმდებლობის გენდერული ზეგავლენის შეფასებაზე²
- არ არის დამტკიცებული ახალი სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ
- დასახვეწია საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, მათ შორის არის შემთხვევა როდესაც არ არის განსაზღვრული ინდიკატორის შესრულების კონკრეტული ვადა.³

თავი 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და უმეადგენლობა

საბჭოს შექმნის მიზანია გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა. დებულების შესაბამისად, მის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზის უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა.⁴

საბჭოს საქმიანობაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, როგორც კანონპროექტებზე მუშაობის თვალსაზრისით, ასევე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებში.⁵


2 2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში, სრულად ვერ შესრულდა საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება - ხუთის ნაცვლად, მხოლოდ ორი კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შეფასება განხორციელდა.

3 მაგალითად, მეორე ამოცანა ითვალისწინებს 2.3.4 (გეგმაში ორჯერ არის მითითებული აქტივობის ნუმერაცია 2.3.3) აქტივობას - „პარლამენტის მიერ დამტკიცებულია ცვლილებები კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელსაც შესრულების პერიოდი არ აქვს მითითებული. იხ. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 8 <https://bit.ly/2WESFZE>.

4 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, <https://goo.gl/BjMZyA>.

5 მათ შორის NDI, UNDP GGI/USAID, PROLoG/USAID, UN Women, ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC)

დიაგრამა 1. საბჭოს პოლიტიკური შემადგენლობა



დიაგრამა 2. საბჭოს წევრები⁶

6 საბჭოს წევრები და თანამდებობები მოცემულია კვლევის საანგარიშო პერიოდის მიხედვით. თამარ ჩუგოშვილმა 2019 წლის 18 ნოემბერს მიმართა პარლამენტის ბიუროს საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგომისა და წევრად დარჩენის შესახებ [განცხადებით](#).

306 ანიან გენდერული საბჭოს წევრები?



თამარ ჩუკოშვილი - საბჭოს თავმჯდომარე
ფრაქცია „ქართული ოცნება“



ეკა გოგოლაძე
დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი



თინათინ ბოკუჩავა
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“



ნათნა გოგორიძე
ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“



ნინო გოგუაძე
ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“



რატი იონათაშიშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



სოლომი ჰიდაშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



აღა მარჯანიძე
ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“



გუგუი მელაშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



ნეკელა მამუკაშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



გიორგი ცალაუში
ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“



ირინა ჯურეძე
ფრაქცია „ქართული ოცნება“



ედისონი ჩიქიშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



ნინო წილოსანი
ფრაქცია „ქართული ოცნება“



ელენე ხოშვანიძე
ფრაქცია „ევროპული საქართველო“



თამარ ხლორდიაძე
ფრაქცია „ქართული ოცნება“



მანიამ ჯაშვი
ფრაქცია „ქართული ოცნება“

თავი 2. საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობა

საანგარიშო პერიოდში საბჭო 3-ჯერ შეიკრიბა.⁷ საბჭოს განხილვის საგანს მათ შორის წარმოადგენდა ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა, რომელიც გულისხმობს შრომის კოდექსსა და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს.

2019 წელს, ახალი რეგლამენტის შესაბამისად, შეიქმნა საპარლამენტო საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც აერთიანებს მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოების, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლებს. ამ განყოფილებაში გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის ერთი თანამშრომელია დასაქმებული. შესაბამისი ცვლილება შევიდა საბჭოს [დებულებაშიც](#).⁸

გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრებისგან შეიქმნა შემდეგი თემატური სამუშაო ჯგუფები:

- ▶ შრომითი უფლებების საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტზე;
- ▶ სამუშაო ჯგუფი ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის (Pay Gap) შემცირებასა და მეთოდოლოგიის შემუშავებაზე;
- ▶ სამუშაო ჯგუფი სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე.

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში თემატური ჯგუფები შეიქმნა ასევე თემატური მოკვლევების დაწყების შესაბამისად: „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა,“ „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“⁹.

2.1 გენდერული თანასწორობის მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება (კონსტრუქციის, სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის შემუშავება)

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება და ინიცირება წარმოადგენდა როგორც 2017 წლის ასევე 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუმცა ამ დრომდე პროექტის ინიცირება არ განხორციელებულა. საბჭოს საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს ქალთა ორგანიზაცია) ტექნიკური მხარდაჭერით, შემუშავებული აქვს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტი, რომელიც შიდა განხილვის ეტაპზეა და მიღებული არ არის.¹⁰

2018 წლის აპრილში საბჭომ [2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა](#). 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა 6 ამოცანას ითვალისწინებს, სიახლეა გენდერული თანასწორობის

7 საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმები, <https://goo.gl/TAs29u>.

8 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, (18.06.2019, №1/223/19), <https://bit.ly/33hfWDI>

9 მათ საქმიანობაზე ვრცლად იხილეთ ზედამხედველობის თავი

10 პირველი კონცეფცია შემუშავებულია 2006 წელს, იხ. პარლამენტის დადგინდება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ <https://bit.ly/34UJqr4>

სახელმწიფო მექანიზმების¹¹ დახვეწისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერებისაკენ მიმართული აქტივობები. წინა გეგმის მსგავსად, მიმდინარე სამოქმედო გეგმა მოიცავს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის მიღების მხარდაჭერას, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც შეეხება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერას, სექსუალურ შევიწროებასთან, ფემიციდთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამოქმედო გეგმის სიახლეა ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) საკითხი, კერძოდ საბჭო, მუშაობდა ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხზე. მონოდებული ინფორმაციის თანახმად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაქირავებული ექსპერტის მიერ, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, შემუშავდა ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის ანალიზისა და საქართველოში შრომითი ბაზრის გენდერული უთანასწორობის შესახებ ანგარიში. ანგარიშის ძირითად ნაწილზე მუშაობა დასრულებულია, თუმცა, საბოლოო დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდება წლის ბოლომდე.

2.2 კანონმდებლის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და აღმოკვლევა

2.2.1 საჭმოს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე

საანგარიშო პერიოდში საბჭო თემატური ჯგუფების ფარგლებში, მათ შორის მუშაობდა შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებებზე:

- სექსუალური შევიწროება
- გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვა
- დეკრეტული შვებულება, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები
- გენდერული კვოტირების შესახებ ცვლილებები

2019 წლის თებერვალში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა¹² პარლამენტს წარუდგინეს სექსუალური შევიწროების შესახებ [ინიციატივა](#). მიღებული კანონის თანახმად განისაზღვრა:

- სექსუალური შევიწროების განმარტება, რომელიც გულისხმობს პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს
- სახალხო დამცველის უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს მის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულება, თუ იურიდიულმა პირმა და კერძო სამართლის სხვა სუბიექტებმა არ გაიზიარეს ან არ უპასუხეს მის რეკომენდაციას
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს, განესაზღვრათ

11 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურებებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრ ქალებთან თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბებას; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან კოორდინაციის მექანიზმის შექმნას, ასევე შსს სპეციალურ დეპარტამენტთან თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბებას. იხ.საქმიანობა 3.1, 3.2, 3.3 <https://bit.ly/2rAUYBL>

12 პარლამენტის წევრები: თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხულორდავა, დიმიტრი ცქიტიშვილი, რატი ოინათაშვილი, გუგული მალრაძე, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი ტულუში.

ვალდებულება შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა მიაწოდონ სახალხო დამცველს

- ფიზიკური და იურიდიული პირი, კერძო სამართლის სხვა სუბიექტი, რომელიც მიიღებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.
- გაიზარდა სასამართლოში მიმართვის ვადაც, კერძოდ ამ საკითხზე სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის ნაცვლად 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია
- ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში განისაზღვრა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ცნება და დარღვევის შემთხვევაში დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სექსუალური შევიწროების რეგულირება საერთაშორისო აქტებში გვხვდება.¹³ IX მოწვევის პარლამენტში სექსუალური შევიწროების საკითხი არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. აღნიშნული ცვლილების განხორციელება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ საკითხსაც წარმოადგენდა.

2019 წლის 23 მაისის სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭომ მიღებული კანონი საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს გააცნო

უფრო კონკრეტულად, საანგარიშო პერიოდში საბჭო მუშაობდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებზე:

- **„გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის ცვლილებები**

მიღებული ინიციატივის შესაბამისად, შიდა კონსულტაციები მიმდინარეობს **„გენდერული თანასწორობის შესახებ“** საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საბჭოსთვის აყვანილმა ექსპერტმა მოამზადა.

- **დეკრეტულ შვებულება და შრომის კოდექსში სხვა ცვლილებები**

მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი **დეკრეტულ შვებულებასთან** დაკავშირებით. შემუშავდა დეკრეტული შვებულების ახალი მოდელი, სადაც მამის შვებულებაც არის განვიწყობილი. ასევე, მომზადებულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით **შრომის კოდექსში** შესატანი ცვლილებები. აღნიშნული საკითხები საბჭომ 2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა.


- **გენდერული კვოტირების შესახებ ცვლილებები**

საანგარიშო პერიოდში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი **გენდერულ კვოტირებაზე**. აღნიშნულზე საბჭომ იმსჯელა 2019 წლის 17-18 იანვრის გასვლითი სხდომის ფარგლებში. აღნიშნული საკითხი შიდა განხილვების ეტაპზეა. გენდერული კვოტირების საკითხი მუდმივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ 2019 წლის ივლისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის

13 ევროკავშირის დირექტივა განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების ცნებას, როგორც არასასურველი, სექსუალური ხასიათის, ვერბალური ან არავერბალური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას, ან განსაკუთრებით მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან ძალადობრივი გარემოს შექმნას. იხ. Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council <https://goo.gl/8qz2Hq>.

მიხედვით¹⁴, გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს გენდერული კვოტირების შემოღებას. დიაგრამა. 3 საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გენდერული კვოტირების თაობაზე



სამივე ინიციატივა მომზადების ეტაპზეა და პარლამენტში წარდგენილი არ არის.

• ფემიციდის დანაშაულებთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობა


საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და გაუმჯობესების ნაწილში ითვალისწინებს გარკვეული აქტივობების განხორციელებას ფემიციდთან მიმართებით. კერძოდ, 2020 წლამდე აქტივობის სახით განერილია ამ მხრივ კონსულტაციების ჩატარება.¹⁵ მონოდედული ინფორმაციის შესაბამისად, საბჭოს წევრმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში - „ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგი პრევენციისთვის,“ რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ სახალხო დამცველი და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე. საბჭოს წევრმა ისაუბრა ფემიციდის თემის კომპლექსურობაზე, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო პრევენციული მექანიზმების არსებობის მნიშვნელობაზე. საანგარიშო პერიოდში სხვა აქტივობა ამ მიმართულებით არ განხორციელებულა.

14 NDI-ის კვლევა ჩატარდა 2019 წლის 13-29 ივლისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,131 პირისპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1.7 პროცენტი. <https://bit.ly/329te3y>
 15 გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2018-2020, საქმიანობა 2.1, ამოცანა 2.1.2 <https://bit.ly/32efsfZ>.

2020 წლამდე გეგმა ასევე ითვალისწინებს ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია კურსებისა და გაიდლაინების შექმნა.¹⁶

ბოლო პერიოდში ქალთა მკვლელობის შემთხვევების ზრდა, კიდევ ერთხელ ცხადყოფს **ფემიციდის**¹⁷, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით შესაბამისი ზომების მიღების საჭიროებას. 2019 წლის 19 მარტს გამოქვეყნებული სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების, ფემიციდის მაღალი რიცხვი¹⁸.

დიაგრამა 4. ქალთა მკვლელობების სტატისტიკა¹⁹



2.2.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება

2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა პარლამენტში, რომლის განხორციელებისათვის, შემდეგი აქტივობების ვალდებულება განსაზღვრული:

16 გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2018-2020, საქმიანობა 5.5, <https://bit.ly/32efsfZ>.

17 ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით. ასევე ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით. ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, 2019, გვ. 6, <https://bit.ly/2qgqNPA>.

18 საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, <https://bit.ly/34uGyKM>, გვ. 4.

19 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2018 წელი, გვ. 177, <https://bit.ly/36xGLW4>.

აქტივობა	შესრულების პერიოდი	სტატუსი	შენიშვნა
თითოეულმა საპარლამენტო კომიტეტმა განახორციელა გენდერული გავლენის ანალიზი მინიმუმ 1 კანონპროექტზე. (ყოველწლიურად ჩატარებულია 15 კანონპროექტის გენდერული ანალიზი)	<ul style="list-style-type: none"> • 2018 • 2019 • 2020 	არასრულად შესრულდა	
გენდერული გავლენის ანალიზი გათვალისწინებულია განმარტებითი ბარათის ახალ პროექტში	2018	არ შესრულდა	
პარლამენტის ტრენინგ ცენტრის ბაზაზე შემუშავებულია გენდერული გავლენის ანალიზის ტრენინგ კურსი	2018	შესრულდა	
საპილოტე პროგრამის ბაზაზე, მომზადებული არიან ახალი GIA-ს ახალი ტრენინგები (თითოეული კომიტეტის აპარატიდან მინიმუმ 1 თანამშრომელი)	2018-2019	შესრულების პროცესში	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, კომიტეტების აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს GIA-ს ტრენინგში ²⁰ .

პარლამენტში შემუშავებულია გენდერული გეგავლენის შეფასების (GIA) სახელმძღვანელო. 2018 წლის 25-26 სექტემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და საერთაშორისო ორგანიზაციების²¹ ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართა გენდერული გავლენის შეფასების ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კომიტეტების აპარატის თანამშრომლებმა. ტრენინგის მიზანს GIA-ს მეთოდოლოგიის შესწავლა და შემდგომ - კანონპროექტების გენდერული ანალიზის განხორციელების დაწყება წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში 5-მა კომიტეტმა იმუშავა შემდეგ კანონპროექტებზე:

- **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი** - მცირე მენარმეობის დაბეგვრისა და საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი ასპექტის გენდერული გავლენის შეფასება
- **ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი** - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების გენდერული გავლენის შეფასება
- **იურიდიულ საკითხთა კომიტეტი** - გენდერული გეგავლენის ანალიზი ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტზე

20 პასუხიდან არ ჩანს ყველა კომიტეტის აპარატის წარმომადგენელმა მიიღო თუ არა ტრენინგში მონაწილეობა.

21 NDI, UNDP GGI/USAID

- **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი** - შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის გენდერული გავლენის ანალიზი
- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული გავლენის ანალიზი²²

2.2.3 სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება

კანონმდებლობის ანალიზის მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელების საკითხი. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც შემდეგი აქტივობებია განსაზღვრული:²³

აქტივობა	პერიოდი	სტატუსი	შენიშვნა
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს შემუშავებული აქვს ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საპილოტე მეთოდოლოგია	2018	შესრულდა ²³	2018 წლის აპრილში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა წარმოადგინა კვლევა „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში,“ რომლის ფარგლებშიც საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი, რომელზე დაყრდნობითაც შეაფასეს საბიუჯეტო პროგრამები.
საბიუჯეტო ოფისის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართის საპილოტე გენდერული ანალიზი.	2018	შესრულდა	საბიუჯეტო ოფისის მიერ მოწოდებული ინფორმაციით განხორციელებული კვლევის „სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში“ ფარგლებში შესრულებულია აღნიშნული ვალდებულება.

22 საბჭოს ინფორმაციით ანგარიშების პრეზენტაცია იგეგმება 2019 წლის მეორე ნახევარში. კომიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტების მიერ მიმდინარეობს მუშაობა და ანალიზი დასრულების ეტაპზე. იხ.: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საბჭოსთან თანამშრომლობით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელშეწყობით შემუშავებული „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის გენდერული გავლენის შეფასების [ანგარიში](#).

23 ვრცლად, იხ. საბიუჯეტო ოფისი, სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში, <https://bit.ly/2Xg1KIQ>

განხორციელებულია პარლამენტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი (პილოტი)	2018	შესრულდა	საბიუჯეტო ოფისის მიერ მონოდებული ინფორმაციით, კვლევის „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში“ ფარგლებში, განხილულია პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01), რაც ფარავს აღნიშნულ ვალდებულებას.
განხორციელებულია სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი	2018-2019	<ul style="list-style-type: none"> • 2018 წელს შესრულდა • 2019 წელს შესრულების პროცესში 	

2.3 ზედამხედველობის განხორციელება

კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს ზედამხედველობა ანგარიშვალდებულ ორგანოებსა და პირთა საქმიანობაზე.

ზედამხედველობის მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს რეგლამენტის ახალი პროექტით გათვალისწინებული საბჭოს უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას და კონკრეტულ საკითხზე თემატური მოკვლევის ჩატარებას.²⁴

2.3.1 ანგარიშის მოსმენა

საბჭოს დებულების თანახმად, მის უფლებამოსილებას წარმოადგენს:

- აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა;
- საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა საქართველოს პარლამენტში დაბარება და მათგან ინფორმაციის მიღება;²⁵

მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ფარგლებში საბჭომ 2019 წლის 17-18 იანვრის სხდომის ფარგლებში მოუსმინა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, სოფო ჯაფარიძეს, რომელმაც უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა. ამ ანგარიშთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციები არ ჰქონია.

24 პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, 154-ე მუხლი, <https://goo.gl/gja84a>

25 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (18.06.2019 №1/223/19) <https://bit.ly/2CB327M>

ასევე, მონოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საპარლამენტო მონიტორინგის მიმართულებით, საბჭოს სამდივნოს მონაწილეობა აქვს მიღებული ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტისთვის (CEDAW) წარსადგენი ანგარიშის გადახედვაში.

საბჭო 2019 წლის ბოლომდე გეგმავს დაიწყოს მუშაობა მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე²⁶.

2.3.2 თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ახალი რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ 2 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა, რომელიც სიახლეს და კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ეს 2 თემაა: **სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.**

აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით საბჭოს აქვს შესაძლებლობა დანიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი.

საკითხზე მომუშავე თემატური მოკვლევის ჯგუფი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და ბიუჯეტს, განსაზღვრავს მის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტებს, ხადმძვანად მოსს საკითხის შესწავლას, ვასუსისმგზავლია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის, სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, უზღაბა აქვს, ადინისტრასიული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია და ახსნა-მანმარსება.

მოკვლევის უანგლაში მილაბული დოკუმენტები ქვეყნდება პანდაშენის ვებგვერდზე.

26 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის საქმიანობა 6.3, შესრულების ვადა: 2018-2019, <https://bit.ly/2PLmu9E>

ამასთან, საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა, ჩაგდამხმარებელი შესაბამისად უნდა წარადგინოს გიგანტს. ჩომადის უზღაბამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს პარლამენტის პლენარული სესიონის დღის წესრიგში.



დასკვნის საუბრებზე შესაბამისი კომიტეტი ან პარლამენტი შეიშუშავებს ჩაკომენდაციას ან ახონიდავს ჩაგდამხმარებელ ბათვარისწინაბუდ სხვა უზღაბამოსილიაბას.

კომიტეტის, პარლამენტის მიერ შეიშუშავებული ჩაკომენდაციები ან/და დავარდაბები უზღაბამება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნებზე პარლამენტის ვებგვერდზე.



► სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა

მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამების ანალიზი გენდერულ ჭრილში • იმ ბარიერების ანალიზი, რომლებიც აღნიშნულ პროგრამებში ქალების დაბალ აქტიურობას განაპირობებს • რეკომენდაციების შემუშავება²⁸.
პერიოდი	2019 წლის 11 მარტი - 11 ივნისი
ჯგუფის შემადგენლობა	ნინო წილოსანი (თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი და მომხსენებელი), დიმიტრი ცქიტიშვილი, ირინე ფრუიძე, ნინო გოგუაძე, გიორგი ტულუში.
ზოგადი ინფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფს წარედგინა 12 განაცხადი, რომელთაგან ზეპირ მოსმენაზე დაბარებულ იქნა 8 უწყება. • ზეპირი მოსმენები მიმდინარეობდა 22 აპრილიდან 15 მაისამდე პერიოდში. • ჯგუფმა განახორციელა 3 საჯარო შეხვედრა პროგრამების ბენეფიციარ ქალებთან. შეხვედრები შედგა ჩოხატაურში, მარნეულსა და გემო ნიქოზში

მოკვლევის შედეგების თანახმად, სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი კომპლექსური პრობლემებია, კერძოდ გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქალებს პროგრამებამდე მისვლაში უშლის

27 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“, 2019, ვრცლად იხ. <https://bit.ly/2NggzHG>.

ხელს და ასევე პრობლემები, რომლებიც უშუალოდ პროგრამების დიზაინსა და განხორციელების მეთოდებს უკავშირდება²⁸.

ამ მიმართულებით საბჭომ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც დაყოფილია ორ ნაწილად:

1. ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის ცვლილებაზე მიმართული და რომელთაც სხვადასხვა ადრესატი ჰყავს;
2. სპეციფიური რეკომენდაციები, რომლებიც კონკრეტულად მოკვლევის პროცესში ჩართულ სააგენტოებზეა მიმართული.

აღნიშნული დასკვნა (ანგარიში) 2019 წლის 12 ივნისში [ნარედგინა](#) პარლამენტის ბიუროს²⁹.

► **პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის**

პერიოდი	2019 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით
ჯგუფის შემადგენლობა	გუგული მალრადე (თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი და მომხსენებელი), მარიამ ჯაში, სოფო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ირინე ფრუიძე, ეკა ბესელია, დიმიტრი ცქიტიშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ადა მარშანია
ზოგადი ინფორმაცია	ჯგუფს წარედგინა 74 შევსებული კითხვარი, მათ შორის 37 მუნიციპალიტეტებიდან, 18 პროფესიული კოლეჯებიდან, დანარჩენი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ³¹ .

ანგარიშის თანახმად, თემატური მოკვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა ძირეული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება, რაც პროფესიული განათლების ქალებისთვის ხელმისაწვდომობას გაზრდიდა. როგორც ჯგუფის ანგარიშშია მითითებული, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის კუთხით ქალებისთვის უმთავრესი დაბრკოლება პროფესიული სასწავლებლების სიმცირეა. პრობლემურია შემდეგი საკითხები:

- პროფესიული განათლების უახლოეს დაწესებულებამდე მგზავრობა, ასევე საცხოვრებელი ადგილის, თუნდაც, რამდენიმეთვიანი ცვლილება ბევრი გოგოსა და ქალისთვის არის დაბრკოლება, რადგან ოჯახებისთვის ნაკლებ სასიამოვნოა მათი საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებაც, ასევე არის ინფრასტრუქტურული პრობლემებიც
- პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და დაბალი პრესტიჟი ქალებისთვის
- პროფესიების გენდერული დაყოფა, ანუ „ქალური“ და „კაცური“ პროფესიების არსებობა,

28 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“, 2019, ვრცლად იხ. <https://bit.ly/2NggzHG>.

29 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თამარ ჩუგოშვილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა „სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“, <https://bit.ly/2qhVDaq>

30 UNDP, MCA Georgia, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და სხვა. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“, 2019, იხ. <https://bit.ly/32aTQ4k>

რომელშიც, ამავე დროს, ქალები შედარებით დაბალანაზღაურებად პროფესიებზე ირიცხებიან.³¹

თემატური მოკვლევის რეკომენდაციები განკუთვნილია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვისა და პარლამენტისათვის. მათ შორის თემატური მოკვლევის ფარგლებში უწყებებზე გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება; უწყებები 2020 წლის შემდგომ სტრატეგიებზე იწყებენ მუშაობას, რა დროსაც მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილი იქნება გენდერული ასპექტის ინტეგრირების მოთხოვნა. პარლამენტს საკუთარი ზედამხედველობის ფუნქციის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა განახორციელოს კანონმდებლობის, სამთავრობო პოლიტიკისა და სტრატეგიების გენდერული გავლენის ანალიზი (GIA)
- გენდერული ბიუჯეტების პრინციპების დანერგვა პროფესიული განათლების ბიუჯეტის შედგენისას.³²

თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში 2019 წლის 2 სექტემბერს [წარედგინა](#) ბიუროს³³.

2.4 ცნობიერების ამაღლების მიზანით განხორციელებული საქმიანობა

საბჭოს საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რომელიც სამოქმედო გეგმით არის გათვალისწინებული. კერძოდ, [2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა](#) ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ აქტივობებს:

- სავალდებულო გენდერული კვორტების მისაღებად საჭირო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- თემატური საჯარო შეხვედრების გამართვა საქართველოს რეგიონებში;
- ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან;
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა;
- სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

31 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“, 2019, იხ. <https://bit.ly/32aTQ4k>

32 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“, 2019, იხ. <https://bit.ly/32aTQ4k>

33 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ <https://bit.ly/2C9m8Bt>

- საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს ინიციატივით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- **გენდერული გავლენის შეფასების (GIA) ტრენინგი** - 2018 წლის 25-26 სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და საერთაშორისო ორგანიზაციების (NDI, UNDP GGI/USAID) ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართა გენდერული გავლენის შეფასების (GIA) ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის კომიტეტების აპარატის თანამშრომლებმა. ტრენინგის მიზანს GIA-ს მეთოდოლოგიის შესწავლა და შემდგომ - კანონპროექტების გენდერული ანალიზის განხორციელების დაწყება წარმოადგენდა.
- **სამუშაო შეხვედრა: „როგორ გავზომოთ და შევამციროთ გენდერული უთანასწორობა ანაზღაურებებს შორის“** - 2018 წლის 2 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა - „როგორ გავზომოთ და შევამციროთ გენდერული უთანასწორობა ანაზღაურებებს შორის,“ რომლის მიზანს pay gap-ის საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა და ამ მისი შემცირებისთვის სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა წარმოადგენდა.
- **სამუშაო შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე** - 2018 წლის 15 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ნინო წილოსანმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, ასევე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ახალციხის ოფისში ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართა საინფორმაციო შეხვედრა გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე.
- **სამუშაო შეხვედრა სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე** - 2018 წლის 20 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და საერთაშორისო ორგანიზაციების (PROLoG/USAID, UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა სექსუალური შევიწროების რეგულირების თემაზე, რომლის მიზანს ამ საკითხის მოსამზადებელ ეტაპებზე მსჯელობა, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვა და საერთაშორისო გამოცდილების მოსმენა-გაზიარება წარმოადგენდა.
- **კონფერენცია: „ქალი, შრომა, უფლებები“** - 2018 წლის 11 დეკემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს და PROLoG/USAID-ის პროგრამის ორგანიზებით, ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია: „ქალი, შრომა, უფლებები,“ რომლის ფარგლებში განხილული იქნა ქალთა შრომითი უფლებების შესახებ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ძირითადი გზავნილები.
- **სექსუალური შევიწროების რეგულირების შესახებ კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია** - 2018 წლის 19 დეკემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გაიმართა საბჭოს მიერ მომზადებული სექსუალური შევიწროების რეგულირების შესახებ კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ როგორც მთავრობის, ასევე - საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- **„საპარლამენტო კონტროლი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** - 2019 წლის 8 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და NDI-ს ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება თემაზე - „საპარლამენტო კონტროლი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის,“ რომლის ფარგლებში საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფების შექმნაზე და პროცესის დაწყებაზე ისაუბრა.
- **ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ჯანდაცვის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის** - 2019 წლის 23 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და NDI-ს ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება - „ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ჯანდაცვის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის,“ რომლის ფარგლებში განხილული იქნა ამ თემასთან დაკავშირებული ვითარება, გამოწვევები და სამომავლო მიზნები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მუდმივად იღებენ მონაწილეობას ცნობიერების ასამაღლებელ და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში (შეხვედრები, კონფერენციები, პანელური დისკუსიები, მრგვალი მაგიდის დებატები, შეხვედრები რეგიონებში). გაიმართა თემატური შეხვედრები როგორც თბილისში, ასევე - რეგიონებში; 2018 წლის 15 მაისს ჩატარდა გაცნობითი კონფერენცია ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან - პირველი ეროვნული კონფერენცია, რომელსაც 64-ივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მონოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საბჭო მუდმივად იღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებისთვის გამართულ კონფერენციებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა საკრებულოს წევრ ქალთა ყოველწლიური კონფერენცია.

თავი 3. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

საბჭოს საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის. ანგარიშებთან და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებთან ერთად ვებ გვერდზე ქვეყნდება საბჭოს სხდომის ოქმები. გარდა ამისა, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში 3 კვარტალური ბიულეტენი გამოიცა. სამდივნოს ჩამოყალიბების შემდეგ (2019 წლის სექტემბრის დასაწყისი) იგეგმება სოციალურ ქსელში გვერდის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს 17 განცხადება წარედგინა და მიღებული ინფორმაციის შესაბამისად ყველაზე მოხდა რეაგირება.

საბჭომ გამოაქვეყნა ორი საჯარო განცხადება:

- [პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით](#)³⁴
- [ლექტორის მხრიდან სტუდენტის სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით](#)³⁵

აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე საბჭომ საჯარო განცხადება მხოლოდ საზოგადოების პროტესტისა და ბენოლის შემდეგ გააკეთა. 2019 წელსაც, ისევე როგორ წინა წლებში [არაერთი შემთხვევა იყო](#) საზოგადოებრივად აქტიური ქალების შანტაჟისა და დაშინების მცდელობის, რაზეც გენდერული თანასწორობის საბჭოს საჯარო განცხადება არ გაუვრცელებია.

პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. საბჭო წარადგენს [წლიურ ანგარიშებს](#)³⁶, რომლის პრეზენტაცია წლის დასაწყისში, საბჭოს სხდომის ფარგლებში ხდება. საბჭომ 2018 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა 2019 წლის 1 თებერვალს.³⁷

34 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს განცხადება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით, 31 იანვარი 2019, <https://bit.ly/32bVr9N>

35 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს განცხადება ლექტორის მხრიდან სტუდენტის სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, 28 მაისი 2019, <https://bit.ly/2WEk9Pd>

36 გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიშები, <https://bit.ly/2NcEJ60>

37 საქართველოს პარლამენტი, „გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე“, 01 თებერვალი 2019, <https://bit.ly/2Qm1LJV>

თავი 4. შეფასება და რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის საბჭო საანგარიშო პერიოდში მუშაობდა საკანონმდებლო ინიციატივებზე და მათ ანალიზზე, ასევე ზედამხედველობის ფარგლებში შექმნა ორი თემატური მოკვლევის ჯგუფი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ასევე, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად იყო ჩართული.

კვლევაში მონაწილე პირები დადებითად აფასებენ საბჭოს გამჭვირვალობისა და ღიაობის ხარისხს და საბჭოს მიერ თემატური მოკვლევის ჯგუფების ფარგლებში დანყებულ მუშაობას.

არსებული რეგულაციებისა და საბჭოს საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესებას საჭიროებს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:

- მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი ყოველწლიურად ხორციელდებოდეს
- კომიტეტებმა უნდა განახორციელონ კანონმდებლობის გენდერული გავლენის ანალიზი, როგორც ამას სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს
- საბჭომ უნდა გააძლიეროს აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა. აქტიურად იბარებდეს სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებს, იღებდეს მათგან ინფორმაციას და აკონტროლებდეს გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.
- კანონპროექტის განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შესახებ. გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად უნდა ახორციელებდეს საკანონმდებლო ცვლილებების გენდერული ზეგავლენის ანალიზს .
- კომიტეტების მიერ კანონპროექტებზე განხორციელებული გენდერული ზეგავლენის ანალიზის შესახებ პერიოდული ინფორმაცია პარლამენტის ვებ გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს
- ბოლო პერიოდში ფემიციდის გახშირებული ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ მიმართულებით ახალი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას. ფემიციდთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ საბჭო უფრო აქტიურად დაინტერესდეს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებით და ზედამხედველობის ფარგლებში გადადგას ეფექტური ნაბიჯები, მათ შორის შემუშავდეს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც ფემიციდს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური ნორმით დაარეგულირებს.
- საბჭოს სამოქმედო გეგმაში ყველა ინდიკატორთან მიმართებით უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული შესრულების პერიოდი.
- საბჭო რეგულარულად უნდა იღებდეს ინფორმაციას და აანალიზებდეს მუნიციპალიტეტების დონეზე არსებულ გამოწვევებს საკანონმდებლო ცვლილებებსა და სისტემურ პრობლემებთან დაკავშირებით. საბჭო მეტად უნდა გააქტიურდეს განცხადებების ასევე, სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნების მიმართულებით. განსაკუთრებით, ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსისტური თავდასხმებისა და ონლაინ მუქარის შემთხვევებზე საბჭოს მიერ მნიშვნელოვანია კეთდებოდეს შესაბამისი განცხადებები
- საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა უნდა ფარავდეს მონყვლადი ჯგუფების და სხვადასხვა უმცირესობის პრობლემებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საბჭომ ასევე იზრუნოს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაზე.